F786/2 № 13262

კატო მიქელაძე
რედაქტორ-გამომცემი.

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

# ხმა ქართველი ქალისა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 15 კ.

ოთხშაბათი 5 აპრილი
1917 წელი

№ 1 ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 1

1878

# ქრისტე აღსდგა!

ოთხშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე ქალაქის სამკითხველოში
დანიშნულია ქალთა

## კლუბის დამაარსებელი კრება.

მსურველთ ვთხოვთ მობრძანდენ დანიშნულ დროზე.

## რედაქციისაგან.

თუ რომ საუბრის დროს საჭიროა ერთისათვის, მეორე ადამიანის ვინაობის ცნობა, მით უფრო საჭიროა საზოგადოებისათვის გაგება ყოველივე ახლად გამოსულ ბეჭვდითი ორგანოს მიმართულებისა. ამისათვის ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი სდგას ყოველ პარტიულ მიმართულების [illegible] ული არსებულ პარტიების ნაკლსა და ღირსებას; და სცდილობს მათ შორის ატეხილს უთანხმოებაში, ერთი რომელი შემაერთებელი ძაფის გამონახვას და გაბმას. ვიცავთ რა ასეთს უპარტიო პრინციპის ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გარკვეული შეხედულობა არ გვქონდეს ცხოვრებაზე და მისგან წამოყენებულს საჭირ-ბოროტო კითხვებს და საზოგადო მოვლენას ანგარიშს არ ვუწევთ.

ჩვენ არ გვსურს მხოლოდ, რომელიმე ერთი პარტიის თვალსაზრით აღვნუსხოთ ესა თუ ის საყურადღებო მოვლენანი და ჩვენი მსოფლიო მხედველობა დაუქვემდებაროთ მას. ერთი მისთვის, რომ ასეთი გარედან ნასესხები თვალთა ხედვა ადამიანს საშ[illegible] საკუთარი აზროვნებ[illegible]ა და მოქმედებისას ამა თუ იმ საზო[illegible]ო მოვლენის და საჭიროების განსახი[illegible]ლად; და მეორე მისთვის, [illegible] მგვაჩნია ადამიანის [illegible]ლი მსოფლიო მხედველობა და სულიერი მოთხოვნილება ერთმა რომელიმე პარტიულმა პროგრამამ დააკმაყოფილოს რა რიგათ სრული არ იყოს იგი. ვიტოვებთ რა თავისუფლებას დამოუკიდებელს აზროვნებისათვის, ჩვენ ვადგივართ იმ საერთო საჭიროების ფართო გზას, რომელიც გაგვიჭრა ჩვენმა მოქალაქობრივათ დამ[illegible]რებულმა უუფლებო ცხოვრებამ, რომლის აღდგენა არის ჩვენი უმთავრესი მიზანი.

არავითარი აზრი და არავითარი დებულება, რომელი პარტიიდან არ მომდინარეობდეს ის, დღევანდელს ისტორიულ მომენტში საზოგადო საკითხზე ჩვენგან განუხილველი არ დარჩება. და რამდენათ ჩვენი მიზნის საწინააღმდეგოთ დავინახავთ, იმდენათ სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გავატარებთ მას.

ჩვენ გვსურს შევაერთოთ დღეს დაქსაქსული ქალთა ძალა და დაწვრილმანებულ პიროვნებას მოუპოვოთ საზოგადოებრიული ცხოვრება.

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისათვის და ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

დედაკაცის უუფლებრივათ მონური ყოფა და ჩვენი სამშობლო ქვეყნის ადგილობრივი საჭიროებანი, იმდენათ მნიშვნელოვანია და იმდენათ მწველი ყოველი გონიერი ქართველი ქალისათვის, რომ დარწმუნებული ვართ სურვილი ერთისა და მეორეს აღდგენისა განამტკიცებს ჩვენს ერთობას.

## ილია მურომელი აღსდგა.

ილია მურომელი შეიძრა, დასწყვიტა ჯაჭვ[illegible] მისი ხორციელად და სულიერათ დამაუძლურებელი ჯაჭვები, რომელშიაც საუკუნოებით გაბმული იყო და მტარვალთა ბუნაგი ჩამოანგრია. დაინგრა და ნაფლეთებათ იქცა რუსეთის ბიუროკრატია, რომლის სიძლიერე გამოაფუტურა, იმ პატიოსან მსხვერპლთა სისხლმა, რომელიც თვისდა გასახმობლად შეისრუტეს მისმა ფესვებმა.

დაინგრა სისხლიანი კედელი, რომელიც მთელს არე მარეს ჩრდილავდა. დიდი და პატარა ჟივილ ხივილით გახარებული გამორბის გარეთ ახალი ცხოვრების განთიადის დასანახათ. ძალმომრეობის დამარცხებამ ადამიანს დაუბრუნა ჭეშმარიტებისადმი რწმენა და შიშით ხმა გაკმენდილებმა და წელ-მოწყვეტილმა, დღეს მონახეს თავისი „მე" თავისი სიტყვა. ტანჯული და მაშვრალი წელში გაიმართა იგრძნო ადამიანური ღირსება თვისი და თხოულობს საამისო უფლებასაც, მოისპო ძალმომრეობა!

რა დიადი ეპოქაა? ვუმადლოთ ბედს, რომ ცოცხალი ვართ ამ დროს.

ეხლა ჩვენ ქვეშევრდომები კი არა მოქალაქენი ვართ და ვეცადოთ განვამტიცოთ ეს სახელი.

წავიდა დრო ფუქსავატობისა, კარიერისტობისა, და ვნებიანი ბოდვისა.

დადგა დრო შრომისა, დრო სალი გონიერებისა და ნათელი აზროვნებისა. ორთავე სქესის ქართველო ახალგაზრდობავ, დღეს მოითხოვს საქართველო შენგან ძალღონის გაორკეცებას, რომ პირნათლად შეასრულო წინ გადაშლილ სამოქალაქო ასპარეზზე, მოვალეობა მამულიშვილისა. ღმერთმა გაგიმარჯოს ამ გზაზე შენ!

გაუმარჯოს თავისუფალს ბუმბერაზს რუსეთს.

გაუმარჯოს ჩაგრულთა განმათავისუფლებელ ილია მურომელს.

## მოქალაქენო!

დღევანდელი უდიდესი ისტორიული მომენტი, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ, მოითხოვს ჩვენგან გამორკვევას არა მარტო ადამიანის ბუნებრივ უფლებისას, როგორიც არის თავისუფლება სიტყვისა, გადასვლა-გადმოსვლისა, [illegible]ების და სხვა და სხვა., არამედ მასთან ერთად ჩვენი კოლექტიური პოლიტიკური ცხოვრების საკითხის გადაწყვეტასაც.

დღეს გვეძლევა საშვალება გამოვსთქვათ ჩვენი უახლოესი საჭიროებანი, როგორც პოლიტიკური მთელი ერისა, ისე ეკონომიური მშრომელი ხალხისა; და ყოველი შეცდომა ამ საკითხზე დაშვებული გაუსწორებელ, გაუმართლებელი დანაშაულად ჩაგვეთვლება მომავალ თაობის წინაშე.

ჩვენ მისთვის ვეტრფით თავისუფლებას, რომ ის ხელს შეუწყობს პიროვნების აღდგენას. პიროვნება კი მხოლოდ შესძლებს თავისი ინდივიდუალურობის განვითარებას და ა[illegible] პსიხოლოგიურ თავისებურების ნიადაგზე, რომელშიც ის დაიბადა და აღიზარდა.

ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია შედარებითი ბედნიერების მიღწევა, როცა მისი აღმზრდელი საზოგადოება მოქალაქობრივათ თავისუფალი, ტანმრთელი და წინმიმავალია და ასეთს საზოგადო ცხოვრებას-კი იძლევა მხოლოდ ეროვნულად დამოუკიდებელი, ნამდვილი დემოკრატიული მართველობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პიროვნული განვითარება დამახინჯებულია, და პოლიტიკური თავისუფლება მისთვის გამოუდეგარი. რად უნდა მას თავისუფლება სიტყვისა, თუ რომ მისი დედა-ენა, ეს ერთად ერთი იარაღი აზრისა და გრძნობისა, ისე დაბეჩავებულია, რომ ესპობა მას საშვალება ამ ენაზე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა?

რათ უნდა სამართლიანი კანონი, თუ რომ მოსამართლე გასაგებ ენაზე ვერ აუწყებს მას, მისი სიმართლე, დანაშაულ[illegible] განჩინებას?

რაღა უნდა სახელი მოქალაქისა, თუ რომ თავის სამშობლოში ვერ მოაწყობს სასურველ მოქალაქეობრივ ცხოვრებას?

ძველი რეჟიმის ხელში ჩვენი ადამიანური პიროვნება დატყვევებული იყო, მით რომ ის ნებას არ გვაძლევდა ჩვენი ჭირისა და ლხინის გამოთქმისას. თავისუფალ რუსეთში კი, თუ რომ მოკლებული ვიქნებით ეროვნულ აღზრდა განვითარებას, ჩვენი მდგომარეობა ემზგავსება იმ ბუნებრივ ნაკლის მქონეთა მდგომარეობას, რომელნიც ყველაფერს ხედავენ გრძნობენ და აზროვნობენ, მაგრამ შესაფერად ვერ მოქმედობენ და ვერ მეტყველობენ. ან იმ უბედურ ბავშთა მდგომარეობას, რომელნიც შიმშილისაგან მუდამ სტირიან და ყვირიან, მაგრამ კაცი კი ყურადღებას არ აქცევს.

და ბრალი ჩვენი, თუ რომ ასეთს ხელოვნურ სიდუხჭირეს და სულიერ სისაწყლეს გვიქადის დღევანდელი პოლიტიკური თავისუფლება!

რამდენათ უფრო მწველი, რამდენათ უფრო ადვილი იქნება მაშინ ჩვენი ეროვნული სახის წარხოცვა? ჩვენი სამშობლო მიწა წყლის ჩვენივე ფეხებიდან გამოცურება და მთელი ეროვნული ცხოვრების უფსკრულში გადავარდნა?

რა მოელის მაშინ ქართველ ხალხს? ნივთიერად ღარიბს, მრეწველობა-ვაჭრობაში ახლად ფეხ—ადგმულს, კულტურულათ თანამედროვე ცხოვრებისათვის მოუმზადებელს? აბარგება, თავის გუდა ნაბადის ზურგზე აკიდება და ცა ქუდათ და მიწა ქალამნათ. სხვა და სხვა მხარეს ხეტიალი და შიმშილით სიკვდილი!. ნუ თუ ამისათვის ვეტრფოდით ჩვენ საერთაშორისო ძმობას? განა ამისათვის ვართ ჩვენ სოციალისტები, რომ ყველაზე უწინ ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვამსხვერპლოთ მას? არა, ჩვენ სოციალიზმი გვინდა ქართველი ხალხისათვის და არა ქართველი ხალხი სოციალიზმისათვის; შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის, ამისათვის საჭიროა [illegible] კაპიტალისტური წესწყობილების დღევანდელს პირობებში მოუსპობლობა და ვითვალისწინებთ რა ყველა იმ უკულმართობას, რომელსაც წარმოშობს მისი განვითარება მომწიფება მთელ სახელმწიფოში. ჩვენ მოვითხოვთ დღეს ისეთი პირობების შექმნას ჩვენ სამშობლოში, რომელიც საშვალებას მოგვცემს თავი მოვიგეროთ მის უკულმართ შედეგებისაგან. და ასეთი პირობების შესაქმნელად ჩვენ მოვითხოვთ ქართველ ერის შინაურ მოქალაქობრივ ცხოვრებაში სრულს დამოუკიდებლობას და ასეთს უფლებიან ცხოვრებას ერისას, სახელად ვუწოდებთ **ტერიტორიალური ავტონომიას.** რომლის განხორციელება, არა თუ არ მოსწყვეტს საქართველოს რუსეთს, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველი მშრომელი ხალხის რუსეთის მშრომელ ხალხთან ერთობა სოლიდარობას. ჩვენ მოვითხოვთ ერისათვის უფლებას და მშრომელი ხალხისათვის [illegible], რომ საქართველოს [illegible] შვილებათ, მხოლოდ მამაკაც[illegible] იყვენ და არა დედაკაცები. ჩვენი სამშობლო შვილების გამორჩევას ისტორიულად ჩვეული არ არის. და ქალებს ისეთივე ხმა და ადგილი უნდა მიეცეს მეოცე საუკუნის თავისუფალ საქართველოში, როგორც მამაკაცებს. ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ ბატონობას და დაუმსახურებელ პრივილეგიას იქნება ის სქესი, კლასი, თუ ერი. და ამ ბრძოლაში განვამტკიცებთ კიდეც ჩვენს უფლებას.

ის აურზაური, რომელიც დღეს ატეხილია ადგილობრივ პარტიათა შორის ჩვენ წარმავალ მოვლენათ მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ თითოეული პარტიის წარმომადგენელი გულის ტკივილით შესცქერის მათ შორის ამტყდარ განხეთქილებას. ამისათვის ვიმედოვნებთ, რომ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ ამ პოლიტიკურ შენების დროს თითეული პარტია შეეცდება შემაერთებელი ხიდის აგებას, რომ საერთო ძალღონით აღადგინონ და განამტკიცონ ქართველი ხალხის მოქალაქობრივი ცხოვრება. ნურავინ ნუ იფიქრებს მას, რომ საქართველოს ავტონომია რომელიმე პარტიის მონოპოლია იყოსა! დღეს ყველა პარტიებში არის ავტონომიის მომხრე და რომელ პარტიას მეტი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ხალხის გათვითცნობიერებაში და განთავისუფლებაში ამის დამფასებელი იქნება ისტორია და ის მომავალი თაობა, რომელიც დღეს წინდებულ დროთა სივრციდან მოგვიწოდებს ერთობისაკენ ყველას. ასეთს ძახილს კი უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პარტიამ, რომელიც დღეს უფრო მეტად გავლენიანად და მომქმედათ სთვლის თავის თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენად მათ უფრო მეტი მოეთხოვებათ, იმდენათ სასტიკ ბრალს დასდებს მათ ისტორია მომავალში. ჩვენ გვრწამს გონიერება აღნიშნულ პარტიის მეთაურებისა, რომ ისენი სასაყვედუროთ არ დაუტოვებენ [illegible] ბას და ამ იმედით ჩვენც სიხარულით მოველით ქართველი მშრომელი ხალხის ნურვილისამებრ მოწყობილს საქართველოს ავტონომიას.

რიონელი ქალი.

## რას მოვითხოვთ ჩვენ.

1) ვღებულობთ რა მხედველობაში დღევანდელს უდიდეს მომენტს ისტორიისას და ქალთა უუფლებო მდგომარეობას სახეში თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში, ჩვენ მიზნათ ვისახავთ დედაკაცის პოლიტიკურ მოქალაქობრივ უფლების აღდგენას; და ქალთა ემანსიპაციის იდეიის გავრცელებას საქართველოში და თანამოაზრეთა ორგანიზაციულად შეერთებას.

2. ქალი არის ისეთივე გონიერი ადამიანი, როგორც მამაკაცი და უნდა სარგებლობდეს ადამიანის სრული უფლებით.

3. ქალს უნდა მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და კომუნალურ მართველობაში, როგორც ყოველი მოქალაქე მამაკაცი, რომელიც რაიმე ბოროტმოქმედებისათვის, ან ბუნებრივი ნაკლით, თუ სნეულობით არ არის უფლება აყრილი.

4. გაუქმებული იქმნას დღევანდელი სამემკვიდრო პრივილეგია მამაკაცისა და თითეულს შვილს ქალია ის, თუ ვაჟი ედვას თანასწორი წილი დედ-მამის ქონებაზე.

5. აღდგენილი იქმნას დედის უფლება შვილებზე.

6. ერთი და იგივე ხელფასი თანასწორი შრომისათვის.

7. ხელახალი გადახედვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და გაუქმება სქესობრივი პრივილეგიისა და სასჯელის სხვა და სხვაობისა. მოსპობილ იქმნას რეგლამენტაცია პროსტიტუციისა და ძალდატანებული შემოწმება ბიწიერების მსხვერპლთა.

8. ერთნაირი აღზრდა განათლება ორთავე სქესისა. ყველა ამ მოთხოვნილების განსახორციელებლათ მიუცილებელ სა-

კერძოთ ერთად დედაკაცების ხმისა და ადგილის მინიჭებას მომავალს დამფუძნებელ კრებაზე, სადაც უნდა შემუშავდეს რესპუბლიკანური კონსტიტუცია. ამისათვის ხელსვუწყობთ რა დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებას რუსეთის სახელმწიფოში, ჩვენ რევოლიუციონურ მშრომელ ხალხთან ერთად მთელი ჩვენი მოხერხებით და ძალღონით შევებრძოლებით კონტრ-რევოლიუციას, თუ ასეთი სადმე თავს ამოყოფს ჩვენში.

რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა? დემოკრატიული რესპუბლიკა არის ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელმწიფურს უფლებას ასაკუთრებს ხალხს (მთელს ერს) სადაც ქვეყნის მმართველ გამგეობა გადადის ხალხის წარმომადგენელთა ხელში. და რომელიც უზრუნველჰყოფს თითეული ადამიანისა და მოქალაქის უფლებას და დაიცავს მის ინტერეს და პიროვნებას ძალმომრეობისაგან და მით განამტკიცებს ადამიანის პიროვნულს თავისუფლებას.

თავისუფლების საზღვარი არის კანონი, რომლის გადაბიჯება არავის დაუსჯელად არ შეეძლება. ის რაც კანონისაგან არ არის აკრძალული, ნება დართულია. რესპუბლიკანური კანონი არის გამომხატველი ხალხის საერთო სურვილისა, რადგან თითეულს მოქალაქეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნება აქვს პირადათ, ან მისმა წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა კანონის შემუშავებაში და თუ ყველა კანონი, როგორც დამცველი, ისე დამსჯელი არ არის თანასწორი ყველასათვის, თუ რომ ხალხს განურჩევლად სქესთა არ ექნება ნება მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში, ასეთი კანონი არ იქნება გამომხატველი ხალხის საერთო სურვილისა და არც დამცველი მისი ინტერესებისა. ასეთი ცალმხრივი კანონი რესპუბლიკანურ სახელმწიფოში კიდევ უფრო გაიბატონებს მამაკაცებს და დეე ყველამ გაიგოს და იცოდეს, რომ მე 20 საუკუნის დედაკაცები და კერძოთ ქართველი ქალები ასეთს სქესურს ბატონობას ვერ აიტანენ და მთელი თავისი ზიზღით შეებრძოლებიან მას.

## რა არის კონსტიტუცია.

კონსტიტუცია ჰქვია იმ ძირითადს კანონებს, რომელიც ხსნის თუ რა პირობებში ღებულობს მოქალაქე მონაწილეობას თავის ქვეყნის მმართველობაში.

ნამდვილი კონსტიტუცია აქვს იმ ქვეყანას სადაც დაცულია ორი ძირითადი პირობები: 1) ადამიანის ბუნებრივი უფლების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისათვის.

2 სხვა და სხვა მმართველობა სახელმწიფოში იყოს განცალკევებული.

მმართველობის გაყოფა მდგომარეობს შემდეგში:

1 განცალკევებული უნდა იყოს სასამართლო 2 კანონმდებელთაგან. ე. ი. წარმომადგენელთა პალატიდან. და 3. აღმასრულებელი მთავრობა ე. ი. მმართველობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, მინისტრებთა და მოხელეთა, რომელთაც მოჰყავთ კანონი სისრულეში. იმ საზოგადოებაში სადაც არ არსებობს გარანტია სამართლისა და გარკვეული გაყოფა საზოგადო მმართველობისა არ არის კონსტიტუცია.

ასეთი დაყოფა მმართველობისა მით არის საჭირო, რომ სხვადასხვა მოხელეებს რომელთა მოვალეობა მხოლოთ ამა თუ ის დანაშაულის აღნიშვნა ნება არ ქონდეს მოქალაქის დასჯისა, რასაც ნებას მათ აძლევდა ძველი რეჟიმის მთავრობა.

## სიტყვა

**თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში.**

ქართველო ქალებო!

არავისათვის ძველი რეჟიმი, რომლის დანგრევას დღეს მთელი რუსეთი დღესასწაულობს ისეთი დამჩაგვრელი არ იყო, როგორც დედაკაცების, და კერძოთ ქართველი ქალებისა. ის მთელი თავისი სიტლანქით ასი წლის განმავლობაში თავს აწვა ჩვენს სამშობლოს, რომლის სიმძიმის ქვეშ ქართველი ქალის ადამიანური ღირსება ისრისებოდა მან შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად უჩვეულო ზნე ჩვეულებანი, რომელმაც შეცვალა უმაღლესად ზრდილი რაინდული პსიხოლოგია ქართველი მამაკაცისა. დღიოდესღაც ამაყს თავისი ზნეობრივი გავლენით ქართველს ცოლსა და დედას ჩაუწყვიტა ხმა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში და უპიროვნო კაკალკათ გადააქცია!

ქართველო ქალებო, იცოდეთ რომ ჩვენ გვმართებს დიდი თავ-გამოდება, დიდი მეცადინობა, რომ გავფანტოთ ის უღირსი ჩვენი ზნეობრივად დამამცირებელი, ჩვენი ადამიანური ღირსების შემლახველი უკუღმართობანი, რომელიც რუსის ბიუროკრატიამ ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა. ვის უნდა ახარებდეს მისი დამსხვრევა როგორც ჩვენ? მოისპო მმართველობა ძალმომრეობისა! და დღეს, რაცა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის სარძიკველი იყრება, ჩვენ თავს გვაწევს ამ დიად ისტორიულ მომენტში საშვილიშვილო ვალი, რომ მოვითხოვოთ ისეთი პირობები პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც საშვალებას მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავიანთ ინდივიდუალური ადამიანური პიროვნების განვითარებისას.

ასეთი პირობების შექმნა საჭიროა ყველა ქართველი ქალებისათვის და იმ ადამიანური უფლების მოხვეჭის გულისათვის, რომლისაც ჩვენ ყველანი მოკლებული ვართ ნუ იქნება დღეს ჩვენ შორის ამ პოლიტიკურ ცვლილების დროს ანტოგანიზმი ბურჟუა და პროლეტარ ქალებისა, რადგან ჩვენ ყველანი ერთნაირად ჩაყენებული ვართ უფლებრივათ ბავშებისა და ბავშების მდგომარეობაში განურჩევლად ეკონომიური კატეგორიისა.

ჩვენთვის ყველასათვის მოუცილებელი საჭიროა ნორმალური სრული წლოვანი ადამიანის უფლება და ვიბრძოლოდ დებო, ერთსულოვნობით ამ უფლების მოპოვებისათვის.

დღეს თქვენ ხედავთ როგორი ერთობით, როგორი სოლიდარობით იერიში მიაქვთ საერთო მტერზე პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლად ლიბერალებს და სოციალისტებს ასეთი შეერთება თუ არ არღვევს თითოეული მათგანის რწმენას, ამავე შეერთებით რათ უნდა შეიცვალოს ჩვენი პარტიული სიმპატია, მიმართულებანი? უბრალო გაუგებრობაა ასეთი აზრი და ვინც თქვენ ამაში შეგნებულად გაფრთხობთ ქალია ის, თუ კაცი ის, — მტერია ქალთა სწორ-უფლიანობისა!

დღეს ჩვენა გვყავს ახალი დროებითი მთავრობა, რომელიც პირდება ხალხს ადამიანისა და მოქალაქის უფლების აღდგენას, რომელიც იწვევს დამფუძნებელ კრებას ახალი პოლიტიკური ცხოვრების მოსაწყობათ, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და საყოველთაო ხ ის მიცემით. იქნება ის არჩევნები განურჩევლად სქესთა თუ არა, ამაზე უმაღლესი დროებითი მთავრობა არას გვეუბნება. ამას აცხადებს მხოლოდ ადგილობრივი სოციალისტური გაზეთები. ვინც იცნობს რუსეთის რევოლიუციის ისტორიას, მას არ შეუძლია რა გვარი ანტიფემინისტი არ იყოს ის იმის უარის ჰყოფა, რომ რუსის ქალებს ისეთივე ღვაწლი მიუძღვის განმათავისუფლებელს მოძრაობაში, როგორც რუსის მამაკაცებს.

ძნელია იმის წარმოდგენა რომ ამდენი ღვაწლი რუსის ქალებისა უქმათ ჩაითვალოს!

ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ ეს. მაგრამ იმედთან ერთად რაღაც საეჭვო ნიშნებსაც ვხედავთ, რომლის წინააღმდეგ რუსის ქალები ირაზმებიან და თავიანთი უფლების აღდგენას მოითხოვენ.

ჩვეი გვრწამს სულიერი სიძლიერე რუსის ქალებისა რომ ისინი იაფათ არ დაუთმენენ არავის მათ მიერ გაღებულ მსხვერპლის დაუფასებლობას.

როგორ უხვდებით ჩვენ ქართველი ქალები ამ უდიდეს ისტორიულს მომენტს: სამწუხაროთ ერთობ პასიურად! და ასეთი ჩვენი მდგომარეობა უეჭველად უნდა შეიცვალოს რომ დღევანდელი მონური ცხოვრებიდან გამოვიდეთ. გვახსოვდეს, რომ ქართველ ქალსაც უდევთ წილი რუსეთის ხანგრძლივ რევოლიუციის სვლაში და თავისუფალ საქართველოში ისეთნი მრავლად ვერ დარჩებიან. მართალია ჩვენ რუსის ქალების სიგმირე არ გამოგვიჩენია, მაგრამ არა მისთვის, რომ ჩვენში საამისო სულიერი ძალა არ მოიპოვებოდა, არამედ მისთვის, რომ საქმიანო ასპარეზი თანამედროვე საქართველოში ორივე სქესისათვის დახშული იყო. თუ ქართველს ქალს აქტიური სიგმირე არ გამოუჩენია, სამაგიეროთ ქართველი ქალებიც ისეთივე ინტერესით ეხმაურებოდენ განმათავისუფლებელს მოძრაობას, როგორც ჩვენი მამაკაცები.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქართველ ქალებს რომელსაც თავისი სიცოცხლე და მთელ, ოჯახის კეთილდღეობა საქმეში ჩაუგდიათ მისთვის, და რომელნიც შემთხვევით გადარჩენილან.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებმაც იგემეს ოინები ძველ მთავრობის ნესტი ციხე სიმაგრეებისა და შეძლება ყველაზე მძიმეთ. ქართველ ქალებზე გადაიარა კონტრ-რევოლიუციის იერიშმა, რომლის მოწამენი ჩვენ ყველანი ვართ. ის მსხვერპლი იმდენათ დიდია და იმდენათ ცხელი, რომ მხოლოთ არაკეთილშობილთ თუ შეუძლიათ მისი დაუფასებლობა და ფუჭათ ჩატარება.

ქართველ ქალებს იმანაც შეგვიძლია თაქი მოვიწონოთ რომ ჩვენ შორის მიუხედავათ განსაცდელისა ერთი მოღალატე განმათავისუფლებელ მოძრაობისა არ აღმოჩენილა და მომხრეები კი მრავალი.

ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით გაზეთ „სამშობლოში“ 567-ნუმერში ამასწინათ გამოთქმულს აზრს თითქო ქართველ ქალებს 6 თუმნიანი ტუფლიკანების გარდა ... არა გაეკეთებინოს რა“.

სამწუხაროთ ჩვენ აღზრდილი ვართ იმ ანტიფემინისტურ ატმოსფეროში, რომელიც გაამეფა ძველი რეჟიმის აღზრდა განათლებამ, სადაც ყველასა და ყველაფერს დედაკაცს აბრალებენ და ერთი რომელიმეს ნაკლს მთელი ქალების ნაკლათა სთვლიან. ამ აზრით ვაქნ... ლია არა მარტო მამაკაცები, არამედ ზოგი ჩვენთაგანიც და ისეთებიც, რომელთაც ქალთა უფლების აღდგენა სწადია.

მართალია ჩვენ გვყავან, როგორც ყველა ერს უსაქმური ქალები, რომელნიც ძვირფასიან ტანსაცმლის გაფუჭების მეტს არას აკეთებენ მაგრამ ამასთან ერთად ჩვენცა გვყავს ინტელიგენტი მშრომელი ქალები, რომელთაც ხელში არსებობს მრავალი კერძო სკოლები. ჩვენცა გვყავს იდეური მუშა ქალები და თავდადებული დედები. თუ რომ ჩვენი ქალების უმცირესი ნაწილი უსაქმურ ცხოვრებაში 60 მანეთიან ტუფლიკანებსა სცვეთენ ნუ დაგვავიწყდება, ისიც რომ ჩვენი უსაქმური მამაკაცები 600 მ. და 6000 მანეთებს კარტში და ქეიფში აქრობენ და ასეთი მათი ნაკლი საერთო მამაკაცების ნაკლად, რომ ჩაითვალოს მაშინ თვით მთელი ერის მომავალზედაც ხელი უნდა აიღოთ.

ჩვენ ვიცნობთ ისეთს ქალებს, რომლებიც ოჯახისა და შვილების საკეთილდღეოთ წლებზე ფეხს იდგამენ, მაშინ როდესაც მათი ქმრები უდარდელს ლხინსა და ქეიფს ეძლევიან. ჩვენ ვიცნობთ არა ერთსა და ორს დედებს, რომლებსაც ულარიბეს სიქვრივეში თავიანთ შვილებისათვის უმაღლესი სწავლა განათლება მიუციათ და ოჯახი დაქცევიდან გადაურჩენიათ.

და თუ საზოგადო ასპარეზზე ქართველი ქალების აქტიურობა არა სჩანს, ამას მიზეზი გახლავთ ის უკუღმართი ზნეობრივი ატმოსფერა, გამეფებული მთელი საუკუნის განმავლობაში, რომელიც მას გასაქანს არ აძლევს.

დროა შევიგნოთ ის, რომ ქართველს ქალს საზოგადო ასპარეზი ხელოვნურად დახშული აქვს.

გვეყოფა თავის თავის და ურთიერთის დამცირება, გავიმსჭვალოთ მეტის პატივისცემითა და რწმენით ერთმანეთისადმი, იმ გზით რა გზითაც დღემდე გვევლია, რომ ვიაროთ კიდევ უფრო ხელს შეუწყობთ ჩვენს უპიროვნო ცხოვრებას. მოვიგონოთ, რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ, იმ დიდებულ დედათა, რომელნიც მთელს აზიაში ერთად ერთი იყვნენ ისტორიულად მონობას რომ არ ჰკადრულობდენ და თვით ბარბაროსული დროის მამაკაცები მის პიროვნებასი უაღრესად პატივსა სცემდენ.

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ისტორიული ტიკინები კი არა ვართ, არამედ გაგრძელება იმ დიდებულ ქალთა მოდგმისა, რომელნიც ცნობილი იყვნენ არა მარტო გარეგნული სიტურფით, არამედ შინაგანი სიმდიდრითაც, რომელთ თავისუფალი ... სული, იმდენათ მამაცი და ძლიერი იყო ფერთან, რამდენათაც სათნო და თავგანწირული მოყვარესთან.

გვახსოვდეს, რომ ჩვენს ძველს დედებს შეეძლოთ არა მარტო სქესობრივად მოხიბლვა მამაკაცებისა, არამედ თავიანთი ადამიანური ღირსებითაც, რომლის დობასა და მეგობრობას ძველი ქართველნი ნატრობდენ და აფასებდენ.

წარსულ დროთა ღვეფლში კიდევ დარჩა ნაპერწკალი და თანამედროვე ქართველი ქალების მოვალეობა აღანთოს თვისში ეგ მიმქრალი სულიერი ლამპარი შესაფერად ეხლანდელი ცხოვრებისა.

თავისუფალ საქართველოს სჭირია ნამდვილი მოქალაქენი ორთავე სქესში, რომელთაც ესმოდეს საჭიროება ხალხისა და თავიანთ სამშობლოსა რომლის ცოდნას მათ მისცემთ მხოლოდ სწორუფლიანი მოქალაქობრივი ცხოვრება. ამ აზრით უნდა გავიმსჭვალოთ დღეს ყველა ქართველი ქალები და ერთსულოვნებათ შევუდგეთ აღდგენას ჩვენი ადამიანური უფლებისას.

ამ მიზნით ვთხოვ კრებას დაეხმაროს ქალთა გაზეთის გამოცემას, რომელსაც ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მამაკაცებისათვის, სადაც საშვალება გვექნება გამოსთქვათ საჭიროება და მოთხოვნილებანი თავისუფალ ქართველი ქალისა, და გამცნოთ შინაურსა და გარეშეს ჩვენი ფიქრი და ზრახვანი, რომლის საშვალებას მოგვცემს მხოლოდ საკუთარი პრესა. ამასთანავე საჭიროა დაარსდეს ქართველ ქალთა კლუბი, რომლის მიზანი იქნება შექმნას ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენდეს ცენტრს ქუთაისის გუბერნიის ქალებისას. კლუბის ძირითადი საკითხი იქნება დაეხმაროს სოციალისტურ პარტიებს კონტრ-რევოლიუციის მოსაგერიებლად და შემოკრიფოს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალა ქალთა ემანსიპაციის მომხრეებისა. ასეთი შეერთებული ქალთა ორგანიზაცია თავის წევრებათ ჩასთვლის არა მარტო დედაკაცებს, არამედ იმ მამაკაცებსაც, რომელნიც ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ და მის წევრობას მოისურვებენ

კლუბი მისცემს სრულ თავისუფლებას თავის წევრებს თავიანთ პარტიულ რწმენაში. საჭიროა დღესვე არჩეულ იყოს ქალთა კლუბის აღმასრულებელი ბიურო.

ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისაც ქალთა ემანსიპაციის ჭეშმარიტ მეგობრათ მიაჩნია თავი, დაგვეხმაროს ასეთი კლუბის დაარსებაში.

ქართველო მუშებო, იცოდეთ, რომ ყველაზე მეტად თქვენთვისაა საჭირო ადამიანური უფლებით აღჭურვილი გონიერი დედები, ცოლები დები და შვილები, რომელნიც გვერდში ამოგიდგებიან თქვენი წლოვანობის სხვადასხვა დროს, იმ მძიმე სოციალური უღლის გასაწევეთ, რომელიც თქვენ გარგუნათ ბედმა.

მომეტებული წილი იცოდეთ, რომ თქვენი დები და შვილებია, რომელნიც სიღარიბითა დაუუფლებო ცხოვრებისა გამოუზნეო მამაკაცთა ტლანქი ჟინის მსხვერპლი, რომ ხდებიან. და იღუპებიან. დაეხმარეთ ქალთა ემანსიპაციას, ჭეშმარიტი ამხანაგური გრძნობით გაიმსჭვალეთ ქალებისადმი, მოეხმარეთ ასწავლეთ მათ სამოქალაქო საქმიანობა და თქვენ მალე ნახავთ თუ როგორ ნიჭს გამოიჩენენ ისინი საზოგადო საქმეში.

ჩვენ მოვითხოვთ ადგილობრივი სოციალისტურ პარტიებიდან მათი ლოზუნგის ქალთა სწორუფლიანობას ეხლავე პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარებას.

მოვითხოვთ აგრეთვე ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტიდან ქართველი ქალების სამოქალაქო საქმეში ჩაბმას.

ქართველო ქალებო, გაიმსჭვალეთ მოქალაქობრივი გამბედაობით და ყველგან, სადაც კი დაესწროთ კრებებს მოითხოვეთ ქალების ხმის უფლება და მათი საერო საქმეში ჩარევა.

დღეს გვეძლევა საშუალება ჩვენი საჭიროების გამოთქმისა, დღეს მოგვეცა თავისუფლება სიტყვისა და კრებებისა და ღირსეულად გამოვიყვანოთ იგი, როგორც ჩვენთვის, ისე საერთო საქმის სასარგებლოთ.

გაუმარჯოს თავისუფალს რუსეთს!

ჩვენი გულითადი სალამი ჩვენს დებს ჩრდილოეთისას!

აღდგენა და წარმატება მრავალტანჯულ საქართველოს!

წინსვლა და ამაღლება ქართველს ხალხს განურჩევლად სქესთა.

## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა! ქრისტე მღაღადებელი ჭეშმარიტებისა!

ქრისტე მაშვრალთა და ჩაგრულთა მოსარჩლე,

ქრისტე მეგობარი სულით ობოლთა და მწირთა.

და ჰაა ამ სანატრელს აღდგომას ეგებება დღეს მისი მოყვარე აღდგენილი მაშვრალი მთელი რუსეთის.

აღსდგა მცნება უმაღლესად კაცთ მოყვარე, მცნება აღმნთები სულიერი ლამპარისა!

აღსდგა მით, რომ ფარისეველთ დღეს ხალხი ხელიდან აცლის მას, როგორც თვის საკუთრებას რომელიც ძალით გამოსტაცეს მას, და დაამახინჯეს მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

დღეს აღსდგა ქრისტე და მისი უკვდავი მცნება!

დამარცხებული ძალმომრეობა გოდებს!

დღეს არ არის მათთვის „აღდგომა“

„აღდგომას“ დღეს, აღდგენილი ხალხი დღესასწაულობს

ქრისტე აღსდგა! ჩემო მკითხველო.

## მოწოდება.

ქართველო ქალებო, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა დავიწყოთ ყოველი ძველი უთანხმოება თუ უსიამოვნება თქვენს შორის ატეხილი და შევუდგეთ ერთ სულისკვეთებით საკუთარი ორგანიზაციების მოწყობას სოფლად და ქალაქებში. გააძლიერეთ ნივთიერედ ეს ორგანიზაციები, დანიშნეთ სოფლად და ქალაქებში პროპაგანდისტები თქვენი უფლების დასაცველათ, დაეხმარეთ ჩვენს ახლად ფეხადგმულს გაზეთს. იცოდეთ, რომ ეს ერთად ერთი ბეჭვდითი ორგანოა, რომელიც თქვენს სულიერ გაშვირებას დახინებას ყურადღებს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები დაბა სოფლებიდან და ქალაქებიდან. გთხოვთ მწერალ ქალებს გამოგვიგზავნონ თავიანთი ნაწარმოებები, განმეორებით გთხოვთ გაზეთის სასარგებლოთ ნუ დაიშურებთ თქვენი წვლილის გაღებას, რომელიც ჩვენ გამოვეცით ყოვლად ცუდ პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით გაზეთის გამოცემა შევაჩეროთ. ნუ იზამთ ამას!..

## სალამი აღდგენილ ქართველ ქალს!*)

ბევრი სასიხარულო ამბავი შემოგვეჭიკჭიკა 1917 წლის მერცხალმა, მაგრამ ყველაზე უფრო ტკბილ ხმოვანათ შემოგვესმა ეს ჭიკჭიკი, როდესაც მან გვიამბო ქართველ ქალის ხანგრძლივი ძილისაგან გამოფხიზლება. დიდი ხანია ქართველი ქალი მძიმე მონობის უღელქვეშ მყოფი ხმა ამოუღებლივ მიაბიჯებდა ეკლით შემოსილ გზაზე და ვერ მოეხერხებია მისი გაკაფვა. მაგრამ დღევანდელ ქართველ ქალმა ამაყად წარმოსთქვა: „კმარა დუმილი, კმარა ამდენი ხნის მონობა! მართალია წინ დიდი შრომა და გაჭირება გვიძევს, მაგრამ ... მომავლის იმედებით, ჩვენ ... ენერგიითა და სულის სიმტკიცით ... დადგება ისეთი ჟამი, როდესაც ... გადავსდგამთ ნაბიჯს ... გზაზე.“ ეს სიტყვები სიტყვებათ არ ... და ჩვენ უკვე ვხედავთ დიდებულ ნაბიჯს, პირველათ გადადგმულს აღდგენილ ქართველ ქალისაგან, ნაბიჯს, რომელმაც გამოუთქმელ აღტაცებაში მოგვიყვანა და მრავალი იმედები ჩაგვისახა გულში.

მაშ თამამად ქართველნო ქალნო! არ შედრკეთ! მუყაითად შეუდექით მუშაობას, არ შეგაშინოთ მარტოობამ, რადგან მალე სულ მალე ამოგიდგებით მხარში და ხალისით განვაგრძობთ თქვენ მიერ დაწყებულ დიად საქმეს. გწამდეთ, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის და საქართველო კვლავ იხილავს თავისუფალ ქალის სახეს, რომელიც ჩვენს მესამოცე წლების პოეტებს მხოლოდ სიზმარში ელანდებოდათ. კიდევ ერთი გულწრფელი სალამი, წინსვლა და სიცოცხლე თქვენს პირმშოს!

**ქართველ მოწაფე ქალთა ერთი ჯგუფი**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელათ

# ახალი ამბავი.

ქუთაისი 2 აპრილს კავკასიის კომისარიატის წევრმა ბ. ა. ი. ჩხენკელმა მოიწვია ს. ფედერალისტები და ნაციონალ დემოკრატები. კრება დანიშნული იყო სათავად აზნაურო ბანკის შენობაში საღამოს 7 საათზე.

ბ. ჩხენკელმა აღნიშნა უხერხულობა ერთსა და იმავე ქალაქში ორი მუშათა საბჭოს არსებობისა და ურჩია ს.-ფ. პარტიის წარმომადგენელთ დაექვემდებარონ, როგორც უფრო ძლიერ პარტიას ს. დემოკრატებისას.

— ორშაბათს 3 აპრილს ქალაქის თეატრთან ერთმა აფიცერმა დასჭრა ჯარისკაცი. უსიამოვნების მიზეზი იყო აფიცრის მიერ უკანასკნელისათვის შენიშვნის მიცემა, თუ რისთვის არის ის გადაცმული მოხალისეს ტანისამოსში.

— სადგური რიონი შაბათს 1 აპრილს საღორიის ტყეში გაცარცვეს ქუთაისიდან მომავალნი სოფლელები რომელთაც წაართვეს ნავაჭრი და გროშები.

დ. ჭიათურა. 24 მარტს მოხდა ჭიათურის ქალთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო თითქმის მთელი ჭიათურის ქალები. განხილული და მიღებულ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული წესდება. დასასრულ მოხდა არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის.

25 მარტს ჭიათურის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა ფულის შეკრება კომიტეტის სასარგებლოთ. დილიდანვე მომღერალთა გუნდი წითელი დროშით და პლაკატებით ზედ წარწერით: „მოქალაქენო! უხვი შემოწირულება გაიღეთ თავისუფლებისათვის" სარევოლუციო სიმღერებით დადიოდენ ქუჩებში. ფულის შემკრებნი ქალ ვაჟნი ენერგიულათ შეუდგნენ დაკისრებულ საქმეს და საღამოსთვის შეაგროვეს 5150 მან. შემოწირულება კიდევ შემოდის კომიტეტს.

## ქალებო შეუერთდით.

მოგიწოდებთ ქალებო ქალთა საკითხის გარშემო, ვისაც დაჰკოდია გული თვისის უუფლებობით, არა მარტო პარლამენტის სკამზე დაუჯდომლობით არამედ უფრო ახლოს გეტყვით; ვისაც დაჰკოდია გული თვისვე ოჯახში, ქმარისგან, მამისგან ძმისაგან. ვისაც თვის საკუთარ ნაწველ-გულევ ნაამაგარ ოჯახში არ ჰქონია თანასწორი ხმა, თავისუფალი კუნჭული გადმოგედვარა ცრემლი, თვის საკუთარ, დედაკაცის უბედურებით სავსე ხვედრის პირვარამზე, მოგიწოდებთ ყველას შეუერთდით ქალთა სწორუფლებიანობის დროშას. გადახედეთ დღეს, ასეთს დიადს დღეს, დიდის რუსეთისათვის, ასეთს მკვდრეთით აღდგომის დღეს, ბურჟუა და პროლეტარი, როგორი შერიგების ხელს უწვდის ერთი მეორეს. ეს ორი შეურიგებელი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მტერი დროებით ივიწყებს კლასიურ ბრძოლას, რათა შეერთებულის ძალით განამტკიცოს ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აეგოს ახალი რუსეთის კედლები, და შეერთებულის ძალით ძირ ფესვიანად ამოაგდოს და გაა[illegible]როს მეფობა ძალმომრეობა; რამოდენიმე [illegible] ხელში მოხვედრილი [illegible] ნება სურვილზე სა დანიშნულ[illegible] ქვეყნის სვე[illegible] დიახ გააქროს ყოველივე ეს უსამართლობა, რომ ყოველმა ადამიანმა თავისუფლათ და ღირსეულად იცხოვროს. ასეთი შერიგება, ნუ გგონიათ სპობდეს კლასთა ბრძოლას. ეს დროებით შერიგება მხოლოდ საერთო მტრის საძლევათ სჭირიათ, ბრძოლა ეკანომიური შემდეგ დაიწყება და სულ ივლის სოციალიზმის [illegible] კარამდის. ასეთ დროებით შერიგებას ვხედავთ რუსის ქალებშიაც. ჩვენ კი ჩვენ ერის მეორე თუ პირველი ნაწილი რაღას ვაკეთებთ?

ვუფიქრდებით განა ჩვენს უუფლებო მონურს ცხოვრებას? ვგრძნობთ კი, დედაკაცის პიროვნების შინა და გარეთ გაფელვას? იმას, რომ გარეთ მოკლებულნი ვართ ყოველს მოქალაქობრივ ხმასა და უფლებას და შინ კი ხშირათ ტანჯული იმათგან, ვისთვისაც შევწირავს ჩვენი უკეთესი სიცოცხლის ხანა, ჩვენი უკეთესი გრძნობანი?

მეორე მხრით ჩავფიქრებულვართ თუ არა იმასაც, რომ ასეთი უუფლებობისაგამო ჩვენ თვით ვიზრდებით ისეთს უკუღმართს პირობებში, რომელიც სულიერად გვამახინჯებს და გვავიწყებს, როგორც საკუთარ პირადი ღირსების ამაღლებას, აგრეთვე დედისა და მეუღლის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მოვალეობასაც. ერთისა და მეორე შემთხვევაშიაც მიზეზი ჩვენს მონურ ცხოვრებაში ძევს. ნუ თუ ასეთმა არა ნორმალურმა ცხოვრებამ მეოცე საუკუნის აფეთქებულს რევოლიუციაში, როცა ყველაფერი ახალ სახეს ღებულობს არ უნდა აღძრას ჩვენში სურვილი განახლებისა? და ამ სურვილმა არ უნდა დაგვავიწყოს კლასობრივი უთანხმოება ბურჟუა პროლეტარებისა? რა მოხდა ჩვენშორის ასეთი შეურიგებელი რაც სხვაგან არც კაცებში და არც ქალებში არ მომხდარა?

ეს ქუთათური კინკლაობაა, თუ მართლა კლასთა ბრძოლა? ჩვენ ვფიქრობთ. რომ მიზეზი უფრო პირველში დევს და იმედს არ ვკარგავთ, რომ მის უადგილობას შევიგნებთ და ყოველს უთანხმოებას გამოვასწორებთ ჩვენდა საკეთილდღეოთ. ვინ ამბობს მამაკაცებიდან გამოყოფას საერთო საზოგადო საქმეში? ამაზონების ხანა დიდი ხანია წავიდა და მას მხოლოდ ზღაპრად ვიგონებთ. მაგრამ ამ საერთო ინტერესებთან ერთად სანამ კანონისა და სამართლის წინაშე მათგან განსხვავებული ვართ ჩვენი კერძო ინტერესებიც განსხვავებულია მათი კერძო ინტერესებისაგან.

თვალს ნუ აგვიხვევს მათი სიტყვიერი დაპირებანი და ის გარემოება რომ დღეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის ქალები ჩაგვაბეს რაღაც უმნიშვნელო საქმეში. მოვა დრო, როდესაც მათ ჩვენი დახმარება არ დასჭირდებათ რომ ისევ დედაკაცების საქმეთ ერთად ერთი მზარეულობა აღიარონ.

გახსოვდეთ, რომ ისტორიული უკუღმართობის გავლენით დღევანდელი მამაკაცი იმდენათ ეგოისტია, რომ ის თავისი ნებით იშვიათათ თანასწორ ამხანაგათ ჩაგვთვლის. ქალებო გახსოვდეთ, რომ მარტო კუჭის საკითხი არა კმარა, საჭიროა სულიერი ცხოვრებაც, და უკანასკნელს კი ყველა ერთნაირად მოკლებული ვართ ბურჟუაც და თუ მუშა ქალებიც. აი ჩვენი საერთო სავანი! და დეე ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენის სურვილმა შეგვაერთოს ჩვენ განურჩევლათ კლასთა და მიმართულებისა.

**მარიამ გარიყული.**

## ქალთა მანიფესტაცია.

91 მარტს ქალთა სწორუფლიანობის ლიგამ პეტროგრადში მოაწყო გრანდიოზული მანიფესტაცია ქალაქის საბჭოდან, სადაც თავს იყრიდენ ვერა ფიგნერის წინამძღოლობით მანიფესტაცია გაუდგა გზას მწყობრი რიგებით, რომელთ წითელ დროშებს შემდეგი წარწერა მოსჩანდა:

„არჩევანთა უფლება ქალებს"

„ომი ბოლომდის"

„საარჩევნო უფლება ქალთა უმონაწილოთ არ არის საყოველთაო". და სხვა მეორე საათზე მანიფესტაცია მიადგა სახელმწიფო სათათბიროს კარებს.

მუშათა საბჭო და ჯარის კაცთა დეპუტატებს წარმომადგენელის მისალმების შემდეგ გამოვიდა თავმჯდომარე ქალთა სწორუფლიანობის ლიგისა შიშკინა-იავეინი.

დაუყონებლივ გამოქვეყნებას და ოფიციალურად განცხადებას, რომ ქალებს მიენიჭებათ არჩევანთა უფლება დამფუძნებელ კრებაზე.

ქალთა უმონაწილოთ არჩევნებს არ ექნება საყოველთაო ხასიათი, რადგან იქ წარდგენილი იქნება მხოლოთ მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი.

(ხმები: „უფრო ნაკლებიც ვიდრე ნახევარი") მართალია ახალმა მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო თანასწორი პირდაპირი დაფარული ხმის მიცემა, მაგრამ დასავლეთ ევროპის მწარე მაგალითებმა გვასწავლეს ჩვენ, რომ არ ვერწმუნოთ ბუნდოვან ფორმულებს. აი ამისათვის მოვედით აქ და არც წავალთ აქედან, სანამ კატეგორიული ფორმით არ იქნება გამოცხადებული ქალთა არჩევანთა უფლებები და მისი მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაზე.

გამოდის თავმჯდომარე მუშათა კავშირისა და ჯარის კაცთა დეპუტატების კ. ჩხეიძე, რომელმაც ქალებს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

—ჩვენ არ გვეჭირება იმის მტკიცება, რომ ქალებმაც მიიღონ ისეთივე უფლება როგორც ყველა რუსის მოქალაქემ ეს კითხვა ჩვენში არასოდეს ეჭვს არ იწვევდა. ჩვენ ვიცავთ თქვენს უფლებას არა მისთვის, რომ კეთილათ განწყობილი ვართ თქვენთან არამედ მისთვის, რომ პროლეტარიატი დაინტერესებულია ყველა რუსი მოქალაქის სწორუფლებიანობაზე.

ჩვენ ვერ მოვითმენთ მას, რომ თავისუფალ რუსეთში ქალები დარჩენ უუფლებო მონებათ (ხმები: „მართალია, ვაშა").

მუშათა საბჭოს და ჯარის კაცთა დეპუტატების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ ქალთა სწორუფლიანობისათვის. (ხმები: „ვისთან იბრძოლებთ?")

**გამოდის როძიანკო.** რომელსაც ქალთა სწორუფლიანობის ლიგას თავმჯდომარე შემდეგი სიტყვით მიმართავს: „ჩვენ ვიყავით თქვენთან, როცა თქვენ იბრძოდით რუსეთის თავისუფლებისათვის. ბევრი ჩვენგანი სხვა რუსი მოქალაქებთან ერთად ციხე სიმაგრეებში იჯდა:

აქ ჩვენთან არის ვ. ნ. ფიგნერი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში იბრძვის რუსეთის თავისუფლებისათვის.

და ეხლა როცა თქვენი და ჩვენი ძალღონით მოვიპოვეთ თავისუფლება ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად გამოცხადებას ქალების ხმისა და ადგილის მიცემას დამფუძნებელს კრებაზე.

ჩვენ მოვითხოვთ რომ სიტყვები: „საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფარული" დამატებული იყოს: „განურჩევლად სქესისა,"

— მე ძველი საზოგადო მოღვაწე ვარ, უპასუხა მათ როძიანომ და მიჩვეული, ღრმა პატივისცემას და დაფასებას საზოგადო ასპარეზზე ქალების თავ-გაწირულებისას.

მე ძრიელ კარგათ ვიცი, თუ როგორ ბევრი გააკეთეს რუსის ქალებმა და ორივე ხელებით მოვაწერ ჩემს თანხმობას იმ სიტყვებზე რაც ჩემს წინათ ილაპარაკა ჩხეიძემ.

## ქალთა კლუბის წესდება.

ქალთა კლუბის მიზანია მიიღოს ყოველი საშვალება ქალთა პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლების განსამტკიცებლათ. და ყოველი ზომები რევოლიუციონურ პარტიებთან ერთად კონტრ რევოლიუციის მოსაგერებლად.

2. კლუბის წევრებათ ირიცხება ყველა მომხმარენი ქალთა სწორუფლიანობისა 1 წევრის რეკომენდაციით არა ნაკლებ ჩვიდმეტი წლისა. მამაკაცებში მიიღებიან წევრებათ ის პირნი, რომლის მიღების წინააღმდეგ არ აღმოჩნდება სამი ხმა.

3. კლუბის გამგეობა ბარდება 15 წევრს ამორჩეულთ დამფუძნებელ კრების მიერ. განურჩევლად სქესთა.

4 კლუბის აღმასრულებელი ბიუროს ანუ კომიტეტის მოვალეობას შეადგენს-ბინის მონახვა, პროპაგანდისტების გზავნა სოფლად და ქალაქებში ქალთა სწორ უფლიანობის საჭიროების ხალხში შესატანათ, ლექციების მოწყობა, საზოგადო კრების მიერ დადგენილობის სისრულეში მოყვანა, გამგეობა კლუბის შემოსავლისა, ზრუნვა კლუბის შემოსავლის გადიდებაზე და საამისო საშუალების გამონახვა, ბეჭვდითი ორგანოს განმტკიცება, მოწვევა საზოგადო კრებისა, და წლიური ანგარიშის და კლუბის მოქმედების მოხსენება საზოგადო კრების წინაშე.

5. აღმასრულებელ ბიუროს კრება მოხდება საჭიროების მიხედვით არა ნაკლებ თითო კვირის განმავლობაში თუ მოისურვებენ და მიიწვევენ კერძო ბინაზედაც.

6. საერთო წევრთა კრებას კლუბის აღმასრულებელი ბიურო იწვევს ყოველს კვირას, სადაც წაიკითხება მოხსენებანი თუ რა გააკეთეს კვირიდან კვირამდე კომიტეტის წევრებმა იქვე წაიკითხება ლექციები და რეფერატები.

7. კლუბი დაარსებს საკუთარს ბეჭვდითი ორგანოს, სადაც დაცული იქნება საკითხი ქალთა სწორ-უფლიანობისა ყოველ პარტიულ მიმართულების გარეშე.

8. სარედაქციო კოლეგია არჩეული იქნება აღმასრულებელ ბიუროს წევრთა შორის არა ნაკლებ 5 კაცისა. ქალთა კლუბის წევრები იყოფება სამ ნაწილად: ნამდვილი წევრები, საპატიო წევრები, და თანამშრომელნი. ნამდვილი წევრი იხდის წლიურად არა ნაკლებ 2 მანეთისა. დამფუძნებელნი კლუბისა ყველანი ნამდვილ წევრებათ ითვლებიან. საპატიო წევრათ ირიცხებიან ის პირნი, არჩეულნი საზოგადო კრების მიერ, რომლებმაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუტანეს კლუბს.

თანამშრომლად. ანუ დამხმარე წევრებათ ირიცხებიან ის პირნი, რომელნიც იხდიან წელიწადში არა ნაკლებ 3 მანეთისა.

კლუბის აღმასრულებელ ბიუროში შედის 1) თავმჯდომარე 2) მისი თანაშემწე 3) ხაზინადარი, მდივანი და მათი კანდიდატები არჩეულნი საზოგადო კრების მიერ 1 წლის ვადით. სარედაქციო კოლეგია და სარევიზიო კომისია. თავმჯდომარეს ავათმყოფობისა ანუ ქალაქიდან გასვლის დროს მისი ადგილს იჭერს მისი თანაშემწე; და თუ ასეთ არ იმყოფება ბიუროს ეძლევა ნება ამოირჩიოს თავის წრიდან დროებითი თავმჯდომარე. მდივანი განაგებს კლუბის მოქმედების წერას, ადგენს ოქმებს ბიუროს ბჭობისა და საზოგადო კრებისას. კრეფს ბიუროდან გასულ ქაღალდებს და წლიურ ანგარიშებს კლუბის მოქმედებისას.

ხაზინადარი ღებულობს კლუბის შემოსავალს ნივთით თუ ფულით, აწარმოებს ბიუროს მიერ დადგენილს განკარგულებას თავმჯდომარისას, ახდენს ფულის ოპერაციებს შეაქვს ყველაფერი ანგარიში გასავალ შემოსავლიან წიგნში და ადგენს წლიურ ანგარიშს. კლუბის შემოსავალი: 1) საწევრო ფული, შემოწირულება კლუბის მიერ გამართული წარმოდგენები, საღამოები, ბაზრები, ლექციები და სხვა.

თითეულ კლუბის წევრს უფლება აქვს სიტყვიერად ან წერილით შემოიტანონ თავიანთი აზრი კლუბის სასარგებლოთ რასაც დაინახვენ.

სარევიზიო კომისიის უფლებაში შედის შეამოწმოს ჯამი შემოსავლისა, წიგნები, დოკუმენტები კლუბისა და მისი წლიური შემოსავალი, სარევიზიო კომისიაში შედის 3. წევრი, რომელნიც ირჩევენ ერთმანეთ შორის თავმჯდომარეს და მდივანს მდივნის მოვალეობაა მთელი ბიუროს საქმეების წარმოება. სარევიზიო კომისია იკრიფება ყოველ საჭიროების დროს არა ნაკლებ 1 თვის განმავლობაში.

P. s.

## ფიცი გვრწამს ბოლო კი გვაკვირვებს.

პეტროგრადის მუშათა საბჭოში და ჯარის კაცთა დეპუტატებს 20 მარტს კრებაზე უმთავრეს საკითხათ წამოყენებული ჰქონდა ხელფასის მომატება და მუშათა ფაბრიკანტების განწყობილების მოწესრიგება. კრებაზე წაკითხული იყო მთელი წყება ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა მიერ ხელ მოწერილი რეზოლიუცია, სადაც პეტროგრადის რაიონი თხოულობდა შემდეგ მინიმუმს ხელფასისას, მამაკაცებს, რომლებიც ახლათ იწყებენ მუშაობას საშუალო ხელფასად უნდა მიეცეს **დღიურათ 5 მანეთი**. გამოცდილ მუშებს **დღეში 6 მანეთი დედაკაცებს კი 4 — 5 მანეთი.**

### პროვოკატორები.

21 მარტს თავრიდის სასახლეში შეიპყრეს ჯარის კაცთა დეპუტატების წევრი პროვოკატორი ზორინი.

როსტოვში დააპატიმრეს ყოფილ დეპუტატი 1 სახელმწიფო სათათბიროსი აფანასევი ორთავენი დაჭერილია.

**ქალთა სწორუფლაინობის დაპირება**

მინისტროა თავმჯდომარემ 21 მარტს მიიღო ქალთა დელეგაცია, რომელშიაც ერია ვ. ნ. ფიგნერ[illegible] ვერა ფიგნერმა მიულოცა მას, როგორც ახალი მთავრობის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა მისთვის მნიშვნელობა საყოველთაო არჩევანთა უფლებისა იგულისხმება ის განურჩევლათ სქესთა თუ არადა გადასცა მას მთელი დელეგაციის მიერ ხელმოწერილი განცხადება თავადმა ლვოვმა უპასუხა მათ, რომ მთავრობის წევრთა შორის ქალთა პოლიტიკური თავისუფლება არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს, და ახალი მთავრობა თავიდანვე ფიქრობდა, რომ საყოველთაო არჩევანთა უფლებით ქალებიც ისარგებლებდა. ეხლა მთავრობა შეიმუშავებს ყოველი ბუნდოვანების გამფანტველს ფორმულას, რომელიც მოუღებს ბოლოს ყოველგვარ ეჭვებს“ო.

## ქალთა ყრილობა.

(ჟურნალ გაზეთთა ცნობა).

ბესტუჟევის კურსებზე დანიშნულია ქალთა მიტინგი, რომელიც წინდაწინ გვაუწყეს აფიშებმა. აღნიშნულ დროს კურსების შენობისაკენ ყოველ მხრით თავს იყრის სხვა და სხვა ქალთა ბრბო. მუშები, ხელზე მოსამსახურენი, მოდისტკები, მანდილოსნები და კურსისტკები.

შენობის შესავალში ხალხი თავმოყრილია შიგნით კი დარბაზი სავსეა და შესვლა სჭირს. „ამ დიაცებმა ყველაფერი გატენეს", გულით გაკვირვებული წაილაპარაკა ერთმა სალდათმა.

—რას იზამთ, დინჯათ უპასუხა ერთმა ხანში შესულმა ქალმა, ყველაფერი თქვენი მამაკაცების საკუთრება ხომ არ იქნება? თუ რა თავისუფლებაა ყველასათვის უნდა იყოს.

განა ცოტა ინავარდეთ ჩვენს კისერზე? გვყოფათ! დარბაზი ისე გაჭედილია რომ ძლივს ახერხებთ შესვლას. კრების შემადგენლობა იმდენათ ჭრელია, რომ არ იცით როგორ მონახოთ ყველასათვის გასაგები სიტყვა, მაგრამ ეს სიტყვები მოინახა.

მიუხედავათ წლოვანების, მდგომარეობის, ტანისამოსის განსხვავებისა ამ მრავალფეროვან ბრბოს აქვს ერთი საერთო, გასაგები საგან,ი-- თავისი დედაკაცური ტანჯვა, მისი უუფლებლობა და გაჭირვება, რომლისგან სურთ თავი დაიხსნან და ეზიარონ საერთო დღესასწაულისთვის.

კათედრაზე რიგ-რიგათ ადის შაბალი, რაბინოვიჩი, შჩეპკინა და სხვა.

ყველასათვის გასაგები ენით თითეული მათგანი ელაპარაკება ქალებს დღევანდელი მომენტის მნიშვნელობას: რომ დღეს იწერება ახალი კანონები, იქმნება ახალი ფორმები და სხვა.

რაბინოვიჩის საბუთიანი სიტყვების შემდეგ ხალხს მღელვარება ეტყობა.

ჰკითხულობ ორატორის ვინაობას.

— ყოჩაღ! რა მართალი სთქვა! მხურვალე ტაშით აჯილდოვებენ გათეთრებულ მოხუცი შჩეპკინას სიტყვას, რომელმაც გაიყვანა პარალელი ბატონყმურ ფსიხოლოგიისა და დედაკაცების უუფლებო მდგომარეობისა შუა. ხალხის თანდათან დარბაზის გარემო აწვება. და მოითხოვს შესვლას. ისეთი ჩივილით ხვეწნაა ისეთი წყურვილი სიტყვების მოსმენისა, ორატორებს 4 აუდიტორია უჭირავთ. ილაპარაკეს ქუჩებშიაც. წავიდნენ! ხალხი კიდევ არ იშლება: ღელავს, დაობსა და სჯის. პირდებიან ერთმანეთ მანიფესტაციაზე ერთად წასვლას. აუწყებენ ამხანაგებს ორატორების სიტყვებს. უბრალოთ თავისებურად:

— ამბობდენ. რომ ქალის მწუხარება ქალს უფრო. ესმისო, რომ ცალცალკე ჩვენ დაჩაგრულები ვართ, მაგრამ შეერთებულთ კი ვერავინ დაგვძლევსო რომ საჭიროა სათათბიროში წასვლა ჩვენი უფლების მოსათხოვათო, რომ ახალი კანონები შევადგინოთო. დღევანდელ სიბნელიდან უნდა გამოვიდეთ, და ვისწავლოთო, რომ ეხლა ყველაფერი ახალია და თავისუფალიო. „ახალი და თავისუფალი"! დაცარიელებულ ქუჩებში დიდ ხანს ისმოდა ზუზუნი ამ სიტყვებისა თითქო უფერული სახლები ყურადღებით ისმენდენ ასეთს დაპირებას. როცა თავისუფალი დედები აღგვიზრდიან თავისუფალს შეგნებულთ მოქალაქეთ.

დენ.

## დეპეშები.

**პარიზი.** 29 მარტს. სანკანტენეს რაიონში იყო გაცხარებული სროლა. ჩვენის სამხრეთით მტერმა დიდი სროლის შემდეგ უკუაგდო ერთ-ერთი ჩვენი რაზმი ბონვილის ჩრდილო აღმოსავლეთით კუსკისახლოს, მაგრამ უცფად განვდევნეთ ჩვენი ტრანშეებიდან საწინააღმდეგო შეტევით. ძლიერი საარტილერიო სროლა იყო აგრეთვე ბერობაზ ლაპემპელის რაიონში. და აგრეთვე სხვა და სხვა ადგილებზე შამპანის ფრონტისა. ლეპრეტრის ტყეში წარმატებით ვსროდით მტერის სიმაგრეებს.

**ჰავრი.** 29 მარტს. ბელგიიდან ამბავი მოვიდა, რომ დიქსმიუდეს ჩრდილოეთით სტენსტრასტის რაიონ ში იყო სუსტი სროლა საველე ზარბაზნებიდან.

ოფიც. 30 მარტი მთავარ ბანაკისაგან.

**პეტროგრადი.** დასავლეთისა, რუმინიისა და კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**გერმანიის ჯარში**

გერმანიის მთავარ სარდალმა დასასვენებლად გაშვებული ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი მომქმედ ჯარში დაიბარა

**პეტროგრადის სააგ ნტოსაგან.**

**ვენა** ავსტრო გერმანეთის სამხედრო მინისტრად დაინიშნა შტეგერტეინერი.

**ნიუიორკი.** ამერიკის მთავრობამ სამი

მილიარდი დოლარის სესხება აღუთქვა. შეთანხმებულ სახელმწიფოებს.

**ედინსონი.** პენსილვალიაში შრაპნელის ქარხანაში მოხდა მფეთქება.

200 მდე მოკლულია ოთავე სქესის მუშები მრავალი დაჭრილია.

**პეტროგრადი.** საგუბერნიო ციხიდან სისხლის სამართლით დასჯილმა ტუსაღებმა მიმართეს თხოვნით კერენსკის, რომ შეუსუბუქონ სასჯელი, და პირდებიან სამშობლოს პატიოსანს სამსახურს.

**ტაშკენტი.** კურაპატკინმა მიმართა ტელეგრამით ლვოვსა და გუჩკოვს, რომელშიაც მიუთითებდა სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის გაყოფის საჭიროებაზე.

**სტოკჰოლმი.** რუსის ემიგრანტები გაემგზავრენ პეტროგრადში.

**პარიზი.** პრეზიდენტ პოანკარემ გადასცა გენერალ, ჟოფრს სამარშლო კვერთხი.

## ფოთელ ქალთა
### შემოწირულება ჩვენი გაზეთის სასარგებლოდ.

სოფიო საბახტარიშვილისამ 10 მ., ქსენია ჩხარტიშვილისამ 10 მ., მარიამ ლილიამ 5 მ., ელენე ჯაფარიძისამ 2 მ., ბაბილინა თელიავამ 3 მ., ქალბატონ ლეჟავასამ 1 მ., ანნა ხოჭოლავამ 2 მ., ელპიტე ხოშტარიამ 2 მ., ბეგლარ მამალაძემ 1 მ., ქ-ნ მამალაძისამ 1 მ., 50 კ. ოსანა ჭაჭუასამ 1 მ., ქ-ნ ქორქიამ 1 მ., რუსუდან საბახტარიშვილისამ 2 მ., ალექსანდრე მდივანმა 1 მ., შანშე ლეჟავამ 1 მ., ლ. საბახტარიშვილმა 1 მ., ცაცო ყრუაშვილმა 50 კ., ნინა გამისკირიამ 50 კ, ქ-ნ სალარაძემ 50 კ., ნინა ხუნდაძემ 1 მ., ქ-ნ თოფურიძისამ 3 მ., ქ-ნ გერი 1 მ., ქსენია ჯოლიამ 2 მ., ქ-ნ მაგნიასამ 1 მ., რერჭულაძისამ 35 კ., ანნა როვოლესკაიამ 50 კ., ალათი ტულაშიძისამ 1 მ., ნატალია აგიაშვილმა ს. ტყაჩირიდან 1 მ.,

სულ 70 მ., 35 კ.,

უგულითადეს მადლობას ვწირავთ შემომწირველთ და კერძოთ ქ-ნ სოფიო გიორგის ასულს საბახტარიშვილს, რომელმაც თავს იდვა ამ ფულის შეგროვება.

რედ.

## საზარელი მტარვალობა.
### (სიმართლე პიკადილზე*)

**მისტრის კრისტაბელ პანკხერსტისა** ყველა ის ფაქტები რაც გამოაშკარდა მეძავთა თავშესაფარში პიკადილზე, და რაც უფრო მეტი დამალეს ნათელს ფენს ქალთა არჩევანთა უფლების წინაალმდეგობას

ანტისუფრაჟისტიული თეორია ცხოვრებისა და დედაკაცის მდგომარეობა აღნიშნულ საქმით სურათდება. ანტისუფრაჟისტები ფიქრობენ, რომ დედაკაცის ღირებულებას წარმოადგენს სქესობრივი ფუნქცია, რომელიც მამაკაცების სურვილისამებრ უნდა სრულდებოდეს. სხვანაირად, რომ ასთქვათ ანტისუფრაჟისტი მამაკაცი ფიქრობს რომ დედაკაცი გაჩენილია მასი სქესობრივი ფუნქციის დასაკმაყოფილებლად ის დარწმუნებულია, რომ მას სქესობრივი მოთხოვნილება არ ჰქონდათ ქვეყანა უდედაკაცოთ მშვენიერად იარსებებდა და სრულიად არ იფიქრებს იმას, რომ ამას თქმა ასეთივე საბუთი დედაკაცსაც შეუძლია. ვიმეორებ ანტისუფრაჟისტი ქალში ხედავს მხოლოდ სქესს. და სხვა არაფერს. მათ თვალში დედაკაცი არის მცირე ხარისხის დედალ და ამ მხრით მხოლოთ მათვისსაჭირო და სასარგებლო.

ეგ დედლები მათ თვალში იყოფება ორ კლასად: ერთი ეკუთვნის **პირველს კლასს**, რომელმაც უნდა დაბადონ კანონიერი შვილები. თვით კანონის მათ არ სცნსობს არც „პიროვნებათ“ და არც კანონიერ მშობლებათ თავიანთი საკუთარ შვილებისა. მათ სახელად „ცოლები“ ეწოდებათ. **მეორე კლასი** მოსახლეობს პიკადილზე და მზგავს ადგილებში, რომელთაც „პროსტიტუტკები“ ჰქვია. ამ უკანასკნელთ ხმარობენ მამაკაცების ფიზიკურ დასაკმაყოფილებლად, რომელნიც მცირე დროს განმავლობაში სნეულდებიან, მახინჯდებიან, რომელთაც აღარც საჭიროებენ და ამით თავდება მათი ცხოვრებაც.

ამ ცხოვრებიდან გამორიცხულთ ადგილი შეუწყვეტლად ივსება ერთი იმ სამათხოვრო ხელთასა, რომლითაც აჯილდოვებენ. ღარიბ ქალთა პატიოსანს შრომის, მეორედ ავაზაკური განცხადებებით, ცრუ ქორწინებით, მოტაცებით და სხვა არამზადობით.

გარდა ცოლებისა, რომელნიც არ ითვლებიან არც პიროვნებათ და არც მშობლათ არის სხვა ქალებიც ანტისუფრაჟისტების აზრით „ზედ-მეტი ქალები“. ცოლები საჭიროა ფიქრობს ანტისუფრაჟისტი მისთვის, რომ ზოგიერთ მამაკაცებს მოესურვებათ ოჯახური ცხოვრების მოწყობა პროსტიტუტები კი საჭიროა არანორმალურად განვითარებულ სქესობრივ ინსტინკტისათვის, რომელიც ითვლება სრულიად ბუნებრივად, როცა ის მამაკაცს ეხება.

რაც შეეხება დანარჩენს ქალებს, რომელნიც არც დედმამა და არც პროსტიტუტკები მათში ისინი არავითარ საჭიროებას არა ხედვენ, და ასეთი ქალები მათ ზიზღსა და საშიშროებას გვრიან.

ქალთა არჩევანთა უფლების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშს სხვა და სხვა სიბოროტის მიმართ: იერიშს სოციალურ უსამართლობას და პოლიტიკურად ცუდი მმართველობის წინაალმდეგ. და ყველაზე მეტად კი ის არის ამხედრება იმ ბოროტი სისტემის მიმართ, რომლითაც დედაკაცები უმდაბლეს ჯიშათ და მამაკაცებისა სქესობრივ მანათ ითვლებიან. ერთი სიტყვით ქალთა არჩევნების უფლება არის იერიშის მიტანაწყველა იმაზე, რაეც გამოისახა პიკადილის პროცესში. ამ საქმის ფაქტები არც იშვიათია და არც გამონაკლისი. ასეთი ბნელი თავ-შესაფარი მრავალია და მრავალია აგრეთვე ამ ადგილებში მცხოვრებთა ქალთა რიცხვიც. არის ათასჯერ ათასი მამაკცები-, სტუმრები მზგავსი ადგილებისა, ამ მამაკაცთა რიცხვში ბევრი პატივცემული მამები და ქმრებია.

ჩამოთვლილათ ფაქტები ხელა ხან საიდუმლო სასამართლოს კლერკენსკის სესიის მიერ აღმოჩენილი.

ქალიშვილები, რომელნიც ნახეს პიკადილის თავშესაფარში ბავშურ წლოვანებიდან სულ ახალი გამოსული აღმოჩნდენ. მათი ასეთი სინორჩე, როგორც აკვიწერეს სასამართლოში ითვლებოდა დიდ დადებითი უპირატესობათ იმ „ჯენტლემენების“ თვალში. რომელნიც ასეთი ადგილების მუდმივი სტუმრებია.

სიტყვას ჯენტლემენს ხმარობდენ მთელი პროცესის განმავლობაში) ეგ ბრიტანიის ქმრები და მამები თხოულობდენ და ზოგი მათგანი წერილითაც, რომ მსხვერპლი ყოფილიყო რაც შეიძლება ნორჩი ქალწული. იქ აღმოაჩინეს სხვა და ინსტრუმენტები, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეწეოდენ ათასნაირ უმზგავსოებას. რომ ასეთი ინსტრუმენტები ხმარებაში იყო ეგ თვით იქაურმა ქალიშვილებმა აღიარეს სასამართლოში.

მამაკაცები; სტუმრები და მასპინძელნი ასეთი ადგილებისა, რომელნიც ღუპავენ ამდენს ახალგაზდა სიცოცხლეს ფიზიკურ და ზნეობრივ ტალახში ამოსვრილნი დაბრუნდებიან თუ არა თავიანთ ოჯახებში რასაკვირველია გვიკრძალავენ „ქალთა საკითხზე“ ყოველგვარ თავის ტეხას.

ასეთი აკრძალვა ჩვენ დარწმუნებული ვართ მიმართულია სუფრაჟისტკების ტაქტიკის წინაალმდეგ, რომლის წინაალმდეგ ამუშავებენ სხვა და სხვა პროექტებს იერიშის მისატანათ ჩვენი რაზმის მილიტანტკებზე. დეე შეიბრალოს ზეცამ და მოეხმაროს ცოლს ასეთი მეუღლისას! რადგან ის იმ საშიშარ მდგომარეობაშია, რომელიც უქადის მას საზიზღარი ჭირის შეყრას.

მეუღლება, რომელშიაც მან რწმენითა და სიყვარულით ფერი შესდგა უკვე შებილწულია.

ამბობენ რომ ქალთა უმრავლესობას არა სურს არჩევანთა უფლებას„ო თუ ეს მართალია ეს მისთვისაა, რომ ევრე ბევრია ქალები, რომლებმაც არ იციან სიმართლე თავიანთ საკუთარ მდგომარეობაზე.

მაგრამ ამ სიმართლეს ისინი დღითი დღე გებულობენ, რომლის შედეგი სუფრაჟისტების რიცხვის თანდათანი ზრდაში გამოიხატება.

ანტისუფრაჟისტთა ძალნი ყოველგვარ საშვალებას ღებულობდა სიმართლის დასაფარავად, მაგრამ წინაალმდეგ თავიანთ მის წრაფებისა ისენი თვითვე ხელს უწყობდენ ამ სიმართლის დანახვას.

ამის მაგალითი არის ეპიზოდი მოხდარი პიკადილზე. ანტისუფრაჟისტების მეცადინობა, რომ ჩაექროთ ეგ საქმე ამ შემთხვევაში დიდი აღმოჩენა იყო ქალებისათვის. ყველა ნათლად ხედავდა, რომ საქმე ეხებოდა აქ მრავალ მამაკაცებს და ისეთებს, რომელთაც უჭირავთ საკმარისად მაღალი ადგილები. მხოლოდ დიდ გავლენიან და უფლება მოსილთ შეეძლოთ დაეთანხმებინათ ადმინისტრაცია ამ საქმეს მოსაფუჩეჩებლად.

ყველამ იცის, რომ ცნობილნი პირნი უწევდენ მფარველობას ამ თავ-შესაკარს პიკადილზე.

ბევრმა იცის თუ ვინ არიან ეს ბატონები.

რათ არ დასაჯენ მამაკაცები? აი კითხვა რომელსაც აყენებენ ქალები. რათ დაითხოვენ დედაკაცები პოლიციის სასამართლოდან, რაცა საქმე დაწვრილებით ირკვეოდა, ვიდრე უკანასკნელ გარჩევამდე, სადაც სცდილობდენ ყველაფრის ჩაქრობას? რად არ დაისაჯა არც ერთი მამაკაცი მიუხედავათ იმ საბუთებისა რომლებიც მათ წინაალმდეგ პოლიციას ხელში ეჭირა? იმისთვის თუ არა, რომ საქმეში ჩარეული იყო გამოჩენილი პირი საზოგადოებაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში?

რასთვის დამნაშავე ქალს ამ შეეთხვევაში მიუსაჯეს მხოლად სამი თვის დაპატიმრება ციხეში და მისტრის პანკხერსტს 3 სამი წლის? თავაზიანობა, რომელიც აღმოუჩინეს ხორცით და სისხლით მოვაჭრე ქალს, იმ სისასტიკესთან შედარებით, რომელთაც იჩენენ სუფრაჟისტეების წინაალმდეგ მართლაც რომ გასაკვირველია

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ახსნიან კენნი ლუერალდი და ყველა ისენი, ვინაც ეწევა ამ საზარალო ვაჭრობას ასეთს თავაზიანობას. იგინი გაიგებენ, რომ მსაჯულნი მამაკაცები მიმართავენ მათ შემდეგი განცხადებით:

„ჩვენ იძულებული ვართ აპარნსების საშვალედ გაგგზავნოთ ციხეში. მაგრამ იქ თქვენ დიდ ხანს არ დარჩებით. პატარა ანტრაქტი ასეთი მოგებიან ვაჭრობაში არ შეაკრთობს თქვენ გულს და არ დაგიშლით საქმის კვლავ გაგრძელებას. ჩვენ ვსთვლით თქვენ ვაჭრობას მიუცილებელ დაწესებულებათ და დიდ წყაროთ ჩვენი ხორციელი კმაყოფილებისათვის.“

პიკადილის საქმეში ქალთა თავისუფლების მტერნი დაემზგავსენ სირაქლემას, რომელიც შიშის დროს თავს სილაში ალავს ხოლმე. მათმა ასეთმა მდგომარეობამ ქალები ერთობ დააეჭვა და დღეს მათ სურთ გაიგონ კიდევ რამდენია ასეთი ჭირიანი ადგილები ლონდონში, სადაც ევრე ლამაზდება მამაკაცების მიერ დედაკაცებზე წარმოდგენა, და საიდანაც წამოღებული სენი გადაქვთ თავიანთი ცოლებზე და შვილებზე. რითი შეიძლება ამის გამართლება? სიბილწეს უჭირავს დედაკაცები მორჩილობაში მთელს მსოფლიოში და ჩვენ მხარეშიაც არა ნაკლებ სხვა ქვეყნებისა. დეე ყველა ის ქალები, რომელთაც არა სურთ კაცობრიობის წაბილწვა უწმინდური აზრებით და ფიზიკური ტანჯვით შეგროვდენ ქალთა საზოგადო პოლიტიკურ კავშირის გარშემო და მოეხმარონ ქალთა ხმის უფლების მიღებას.

### II.
### ქალთა საკითხი.

პრემიერ მინისტრმა ერთობ მჭერმეტყველურად წამოაყენა საკითხი ჭლექისგან თავის დასაცველად: ძრიელ სასურველი საქმეა! მაგრამ უფრო სასურველი იქნებოდა, რომ პრემიერს მოფიქრებოდა უფრო საშიშარი ფორმის სენი და ცდილიყო მოესპო მიზეზი სქესობრივი ავათმყოფობისა, მიზეზი რომელიც დევს ქალთა დამონებაში. და რომ მოსპობილიყო ერთი, საჭირო იქნებოდა მეორეს მოსპობა. და ამ მხრივ წინააღმდეგობა მისტერ ასკვიტისა ქალთა ხმის უფლების მიმართ წარმოადგენს სერიოზულს საფრთხეს საზოგადოებისათვის, რადგან სქესობრივი, ანუ როგორც მას ეძახიან ვენერიული სნეულება ჭლექზე მეტად საშიშარია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვის ჯერ კიდევ მრავალი პირდაპირი და არა პირდაპირი შედეგი ამ საზარელ სენისა დაფარულია. ჩვენს დროში თითქმის ყოველ დღე ხდება ახალი აღმოჩენა და თითეული აღმოჩენა გვარწმუნებს, რომ ვენერიული სნეულებანი ავლებს უმთავრეს მუსრს კაცობრიობას.

ყველაზე უფრო სერიოზული ფორმა ვენერიულ ავათმყოფობისა არის სიფილისი და სუსუნატი.

ერთი ავტორიტეტული პირი ამბობს, რომ სასიკვდილო სენთა შორის ჭლექის შემდეგ სიფილისს უჭირავს მეორე ადგილი. ჩვენ დაუმატებთ ამ განცხადებას შემდეგს მოსაზრებას, სანამ შეუდგებოდეთ თვით საზარელ სურათის განხილვას. სიფილის მეორე-ხარისხოვნება მდგომარეობას ერთი იმ ჩუმს ტაქტიკაში, რომლის დარღვევა მხოლოდ ეხლა ხან დაიწყეს ექიმებმა და რომლის გამო სტატისტიკური ცნობა სიკვდილის მიზეზის გამოსარკვევად სწორ შეხედულობას არ იძლევა. მეორეთ მრავალ სნეულებათ, რომელთაც წინათ სიფილისტიური ხასიათი არ ემჩნეოდა, მხოლოთ დღეს შეამჩნიეს.

მესამედ რამდენადაც სიფილისი ორგანიზმის დამაუძლურებელია, იმდენათ მის მატარებელს ყოველგვარი ავათმყოფობა უმძიმდება, და ვერც იტანს მას.

უნდა აღვნიშნოთ ისეც, რომ სიფილისი საუკეთესო ნიადაგს უმზადებს ჭლექს. ვიტყვით მეტსაც არსებობს ისეთი ფორმა ჭლექისა' რომელიც სიფილისის შთამომავალია. უკანასკნელ დროს აღმოაჩინეს, რომ სიფილისი უმზადებს ნიადაგს კიბოს გაჩენასაც.

ქალებისათვის ვენერიული სნეულების საკითხი ღებულობს სპეციალურ ხასიათს და ტრაღიკულს ინტერეს, რომელიც გადადის მათზე და მათ შვილებზე.

სიფილისიანი ცოლი არა თუ გრძნობს ტანჯვასა და დამცირებას, რომელიც ხანდახან ღებულობს უცნაურ ფორმას მას ზედ ერთვის ის საშიშროებაც, რომ ის გახდება დედა დამახინჯებულ, სნეულ და იდიოტ ბავშისა. ეს სენი იწვევს უდროო მშობიარობას და სხვა ათასნაირ ანომალიას. არავითარი სენი ისე არ მოქმედობს შთამომავლობაზე, როგორც სიფილისი. სრულიად სხვა გავლენას თუმცა არა ნაკლებ საზარელს ქალებისათვის ახდენს სუსუნატი, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულია. 75—85 პროც. მამაკაცებისა იძენენ მას ჯვარის წერამდე. და ხშირად არი ზნეობრივი ქრმებიც. ეს სენი ბევრად არ აწუხებს მამაკაცებს და ექიმებიც წინად ადვილად უცქერდენ მას. მაგრამ ქალებისათვის, მათი ფიზიოლოგიური სტრუკტურის მიხედვით აღნიშნული სენი ერთი უმძიმესი სნეულებათაგანია.

ქალთა გათხოვების შემდეგ უძლურობა, რომელსაც არაკეთილშობილნი და უვიცნი მამაკაცები ქალთა ემანსიპაციის საწინააღმდეგოთ წამოაყენებენ ხოლმე, გადმომდინარეობს დედაკაცის არა, ბუნებრივი სისუსტიდან, არამედ ამ სენიდან. ქალები, რომლებიც გათხოვების შემდეგ ავათმყოფობენ და ასეთი კი ხშირია. სუსუნატის მსხვერპლი არიან, რომელსაც მიყავს გადაგვარებამდე. მომეტებული წილი ქალთა ოპერაციებისა, რომელიც ხშირად იწვევს საშვილოსნოს ამოჭრას ამ სენის მიზეზია.

ყველა ეს ისეთი შემზარავი სიმართლეა, რომ ქალები ისტინსტინკტიურად მალავენ მას, სანამ არ დარწმუნდებიან რომ მხოლოთ მისი გამხელით შეიძლება სიავის ბოლოს მოღება. ერთობ ბევრი იტანჯეს დედაკაცებმა ამ სიჩუმით, რომ კიდევ შესძლონ მისი მოთმენა.

საექიმო პროფესიაში მიღებულია წესი, რომ ცოლს დაუმალონ ქმრის უზნეობა და არ აცნობენ მას, რომ ის მსხვერპლია ვენერიული სენისა.

ახალ ჯვარდაწერილს ცოლს, ქრმისაგან რამდენიმე დღის, ან კვირის შედეგ დასნეულებულს, ექიმი ეუბნება, რომ ის იტანჯება აპენდიციტით და ამ სიცრუეს ამოფარებული უკეთებს მას ოპერაციას ჩვენ წინ სდგას ქალთა საკითხი და შეძლება ამ შემთხვევაში თავისი უმთავრესი და უმწვავესი ფორმით. აქვთ თუ არა ანტისუფრაჟისტკა ქალებს წარმოდგენა იმ ჭეშმარიტს სიავეზე, რომლითაც დედაკაცები იტანჯებიან? ჩვენ მათ ვთხოვთ გაიგონ, რომ სანამ კანონითა და ჩვეულებით გაგრძელდება ქალთა დაჩაგრული მდგომარეობა, მანამ კაცობრიობაც საზარელი და დამცირებულ მდგომარეობაში იქნება და დედაკაცები ბიწიერების მსხვერპლი.

ვენერიული სნეულობის მიზეზი დევს ქალთა მონობაში, — მიზეზი იმ დოქტრინისა, რომ დედაკაცი არის სქესი და სხვა არაფერი. ხანდახან ეს დოქტრინა სხვა სიტყვებით იფარება, — რომ ქალი არის დედა და მეტი არაფერი. მამაკაცი, რომელიც ამას ამბოს, ფიქრობს რომ ქალი გაჩენილია პირველად მისი სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმყოფილებლად და შემდეგ იმდენი ბავშების დასაბადებლად, რამდენსაც მამაკაცი მოისურვებს არც მეტი და არც ნაკლები.

ასეთი ცოლქმული დამოკიდებულობა ემსახურება, მხოლოდ ფიზიკურ მოთხოვნილებას, რომელიც წააგავს პატონისა და მონის, ნივთისა და მესაკუთრის ურთიერთობას და არა თანასწორ პიროვნებათა კავშირს. ამ ერთი სიავიდან გადმომდინარეობს მეორე: მამაკაცი არ კმაყოფილდება რომელიმე ერთი მონით და ეძებს მრავალს. ამგვარად გაჩნდა სქესობრივი უწესოება და უკანასკნელიდან სნეულებანიც.

დღეს მეოცე საუკუნის დასაწყისში ცივილიზაციურ ბრიტანიაში გამოჩნდენ უმრავლესობის ტრადიციების დამრღვევნი ექიმები და ყიჟინას სცემენ, რომ ვენერიულ სნეულებათა შხამი სწამლავს ერის სიცოცხლეს. მაგრამ ერთად ერთი საშუალება ამ სენიდან თავის ხსნისა არის ქალთა სწორუფლიანობა, მისი ადამიანური უფლების აღდგენა.

შედეგი ქალთა სწორუფლიანობის სიკეთისა მრავალრიცხოვანი იქნება ამ პრობლემის გადასაჭრელად უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველა გონიერმა მამაკაცებმა, ყველა დედაკაცებმა და ექიმებმა.

უკანასკნელ დრომდე აღნიშნულ სნეულება ექიმები მინჯავდენ მამაკაცების ინტერესის თვალსაზრით. ქალთა მოძრაობის გავლენით ექიმების დამოკიდებულობა ამ საკითხზე შეიცვალა და დღეს კაცობრიობის ინტერესი იჭერს სასურველს ადგილს. მაგრამ ეს პროცესი მანამ არ დასრულდება, სანამ ქალთა სწორუფლიანობა არ იქნება კანონისაგან დამტკიცებული. მხოლოდ მაშინ გვეყოლება საღი შეხედულობით აღჭურვილნი ექიმები და შეიგნებენ მას, რომ ზნეობა და ფიზიკური სიმართლე რასისა მაღლა სდგას მათ „ვალდებულობაზე“, იმ უწნურ პირების წინაშე, რომელნიც თავიანთი ავხორცობის დასაკმაყოფილებლათ ამსხვერევენ, როგორც საკუთარს, ისე თავიანთ ცოლშვილის [illegible] მხოლოდ მაშინ [illegible] რომელნიც მოეშველებიან [illegible] მალდა რონ ისე, როგორც [illegible] ვითარებულსა და ღირსეულს არსებას.

ქალთა სწორუფლიანობა იქნება ის იარაღი, რომელიც საშვალებას მისცემს მათ გაარღვიონ ის კედელი, რომელიც ედობება პატიოსანს ცხოვრებას.

ქალთა სწორუფლიანობა დაასწავლის მამაკაცებს შეხედონ ქალებს, როგორც თანასწორ არსებათ და არა როგორც მონას, რომლის ყიდვა, გაუპატიურება დამცირება და გადაგდება შესაძლებელია.

ჩვენ ვიცით, თუ როგორი ფიზიკური და სულიერ სიმახინჯემდე მიიყვანა კაცობრიობა დედაკაცის მონობამ. დავინახოთ ისეც, თუ როგორი სიწმინდემდე და კეთილშობილებამდე მივაღწევთ ჩვენ მისი ემანსიპაციით.

(შემდეგი იქნება.)

*) ერთი უდიდესი ქუჩა ლონდონში.

**გაზეთის ფასი.**

| | |
|---|---|
| წლიურათ | 10 მ. |
| ნახავარი წლით | 5 მ. |
| თვიურათ | 1 მ. 30 კ. |
| ცალკე ნუმერი | 15 კ. |

**განცხადების ფასი.**

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტით | 25 კ. |
| უკანასკნელ გვერდზე | 15 კ. |
| ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთიორად. | |
| სამგლოვიარო განცხადება | 4 მ. |

რედაქციის ადრესი· 1 ალექსანდროვის ქ. სახლი თევდორაძისა ქუთაისი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა